

შპს ევროპის უნივერსიტეტის

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში - სამსახური) არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული.
2. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებას, საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი მუშაობის ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას.

მუხლი 2. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სტრუქტურა

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ექვემდებარება პრორექტორს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში;
2. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის და სამსახურის მენეჯერისგან;
3. ცალკეული ფუნქციების გადანაწილებას სამსახურის თანამშრომლებს შორის ახდენს სამსახურის უფროსი;
4. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 3. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიზანი

1. სამსახურის მიზანია უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება, საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი მუშაობის ინტერნაციონალიზაცია, უნივერსიტეტის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია.

მუხლი 4. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ფუნქციები

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ფუნქციებია:
 - ა) ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან დამყარება;
 - ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში უნივერსიტეტის გაწევრიანების უზრუნველყოფა;

- გ) სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;
- დ) გაცვლითი პროგრამებისათვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსების ორგანიზება;
- ე) უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურება, რჩევა-რეკომენდაციის გაწევის უზრუნველყოფა საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრების მიზნით;
- ვ) საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელების უზრუნველყოფა;
- ზ) უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან;
- თ) საერთაშორისო პროექტებში უნივერსიტეტის ჩართვაზე ზრუნვა;
- ი) პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება- მასპინძლობას ორგანიზება;
- კ) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზების პროცესში მონაწილეობა;
- ლ) უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 5. სამსახურის თანამშრომლების მოვალეობები

1. სამსახურის უფროსი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
- ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;
- გ) ახორციელებს კონტროლს სამსახურის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებასა და დისციპლინის დაცვაზე;
- დ) ამყარებს ორმხრივ და მრავალმხრივ პარტნიორულ ურთიერთობებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან;
- ე) უზრუნველყოფს საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში უნივერსიტეტის გაწევრიანებას;
- ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსსა და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, საინფორმაციო ცენტრებთან;
- ზ) საერთაშორისო პროექტებში უნივერსიტეტის ჩართვაზე ზრუნვა;

თ) უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

2. მენეჯერის ფუნქციებია:

- ა) სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;
- ბ) გაცვლითი პროგრამებისათვის კანდიდატების შესარჩევი კონკურსების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;
- გ) უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურება, რჩევა-რეკომენდაციის გაწევის უზრუნველყოფა საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრების მიზნით;
- დ) საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელების უზრუნველყოფა;
- ე) პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება- მასპინძლობას ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;
- ვ) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზების პროცესში მონაწილეობა;
- ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის უფროსის მითითებების და დავალებების შესრულება.

მუხლი 6. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში დასაქმებულ პირთა უფლებამოსილება

1. სამსახურში დასაქმებული პირი უფლებამოსილია:

- ა) მოითხოვოს მისი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საინფორმაციო რესურსი და ინვენტარი;
- ბ) მოითხოვოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული ფუნქციის შესრულების მიზნით

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.